**უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო**

15/12/2025

MES 2 25 0001787287

გადაწყვეტილება

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხ ლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-5 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 245628496) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 900-ით.
2. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი).
3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 01 დეკემბერს.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 15 დეკემბრის №1787276 სხდომის ოქმის №02 ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - ბათუმის ხელოვნების სა ხელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ ცნობილი იქნას გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.

5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს წევრი
სხდომის მდივანი
გურგენიძე მიხეილ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
თავმჯდომარის მოადგილე
ორჯონიკიძე ზურაბ

დანართი 1 ა დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამის მონაცემები

№	პროგრამის დასახელება	უმაღლესი განათლების საფეხური	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია და დეტალური სფეროს დასახელება და კოდი სწავლის სფეროს კლასიფიკატორის მიხედვით	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული/პირობ ით აკრედიტებული/საერთ აშორისო აკრედიტაცია)	შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი და ნომერი
1	ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა)	ბაკალავრიატი	ქართული	ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ბაკალავრი 0213 სახვითი ხელოვნება	240	აკრედიტებული	19.12.2023 N 10240
2	ტელე-რადიო ჟურნალისტიკა	ბაკალავრიატი	ქართული	მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი 0703 მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა	240	აკრედიტებული	05.12.2018 N 192
3	კულტურის მენეჯმენტი	ბაკალავრიატი	ქართული	მენეჯმენტის ბაკალავრი 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	240	აკრედიტებული	02.02.2021 N 53930
4	კულტურული ტურიზმი	ბაკალავრიატი	ქართული	ტურიზმის ბაკალავრი 1120 ტურიზმი	240	აკრედიტებული	08.10.2019 N 189
5	ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნობ)	მაგისტრატურა	ქართული	ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი 1007 ხელოვნებათმცოდნეობა/ხელოვნების ისტორია და თეორია	120	აკრედიტებული	13.06.2019 N 128
6	ხელოვნების მენეჯმენტი (120 კრედიტიანი)	მაგისტრატურა	ქართული	ხელოვნების მენეჯმენტის მაგისტრი 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	120	აკრედიტებული	29.11.2024 N 1614192
7	ხელოვნების მენეჯმენტი (60 კრედიტიანი)	მაგისტრატურა	ქართული	აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ხელოვნების მენეჯმენტში 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	60	აკრედიტებული	29.11.2024 N 1614182

8	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი; მუსიკის მასწავლებელი	ერთსაფეხურიანი	ქართული	–	60	აკრედიტებული	25.07.2025 N 1020307
9	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა სომხურენოვანთათვის/ა ზერბაიჯანულენოვანთა თვის	ერთსაფეხურიანი	ქართული	–	60	აკრედიტებული	10.06.2022 N 702877
10	სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი საშემსრულებლო ხელოვნებაში (ფორტეპიანო/სიმებიანი/ ჩასაბერი საკრავები/ ვოკალი/საგუნდო დირიჟორობა)	ბაკალავრიატი	ქართული	სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი საშემსრულებლო ხელოვნებაში 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება	240	აკრედიტებული	13.12.2023 N 1772815
11	სამუსიკო შემსრულებლობა (კლავიშიანი საკრავები; აკადემიური სიმღერა; საორკესტრო)	მაგისტრატურა	ქართული	სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი 0805 სამუსიკო ხელოვნება	120	აკრედიტებული	13.06.2019 N 126
12	არქიტექტურა	ბაკალავრიატი	ქართული	არქიტექტურის ბაკალავრი 0731 არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება	240	აკრედიტებული	30/01/2021 N 46213
13	მოდის დიზაინი	ბაკალავრიატი	ქართული	მოდის დიზაინის ბაკალავრი 0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/ სამრეწველო დიზაინი	240	აკრედიტებული	15.12.2023 N 1783952
14	აუდიოვიზუალური ხელოვნება (კინორეჟისურა, ტელერეჟისურა)	ბაკალავრიატი	ქართული	აუდიოვიზუალური ხელოვნების ბაკალავრი 0801 აუდიოვიზუალური ხელოვნება	240	აკრედიტებული	18.10.2019 N 190

15	სამსახიობო ხელოვნება (დრამისა და კინოს სამსახიობო; დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო)	ბაკალავრიატი	ქართული	თეატრალური ხელოვნების ბაკალავრი 0804 თეატრალური ხელოვნება	240	აკრედიტებული	18.10.2019 N 188
16	მხატვრული კინოს რეჟისურა	მაგისტრატურა	ქართული	აუდიოვიზუალური რეჟისურის მაგისტრი 0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება	120	აკრედიტებული	15/12/2023 N 1783884
17	სამოსის დიზაინი	მაგისტრატურა	ქართული	დიზაინის მაგისტრი 0803 დიზაინი	120	აკრედიტებული	13.06.2019 N 127